№ 0624-0915074 D 21.02.2024

შპს „ელმონტაჟი“
ელ-ფოსტა: mlortkipanidze@elmontage.ge
ტელეფონი: 592 22 24 99

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრაციის #IN24-0910843; თარიღი 13/02/2024წ). რომლითაც მოთხოვნილი იყო გორგასალის ქ. N105-ში, ს/კ 01.18.09.006.017 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სატრანსფორმატორო ქვესადგურის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან, იმ პირობით, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელების მიმართ დაცული იქნება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს:

პირველი საოპერაციო ცენტრის მენეჯერი თემურ წითლიძე. ტელ: 599 58 98 67.

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ივანე გაბიტაშვილი

წყალსადენის ქსელების დირექტორის მოადგილე/
საოპერაციო ცენტრების დეპარტამენტის უფროსი

შემსრულებელი: მ. ლოლაძე; ჯ. ჩაჩხალია
ტელეფონი: 293 11 11 (51 13); (11 27)



შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
საოპერაციო ცენტრი №1
შეთანხმებულია
ხელმძღვანელი
რეგ.№ 0103243 "19" ოქტომბერი 202 წ.
სამუშაოების დაწყების წინ გამოძახებულ იქნას GWP-ს წარმომადგენელი
ტელ: 032 2 93 11 11

⚡	საპროექტო ქპსქ
- - - - - - - -	GWP-ის მილი
————	თ.ე-ის მილი

ENERGY CONSTRUCTION	დაკვეთა:	CNS-09/5779/23
	თარიღი	11/10/2023

კრწანისის რ-ნი, გორგასლის ქ. №105

ს/კ №01.18.09.006.017

შპს "ორბისი" (საცხოვრებელი კორპუსი)

პირობითი აღნიშვნები; გენ. გეგმა		ფურც. №	ფ. რაოდ

უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები შევთანხმდით შემდეგზე:

ერთის მხრივ, შპს „ირბის“ (ს.ნ 205133461) რომელიც ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებულია როგორც ,,მესაკუთრე,'' წარმოდგენილი მისი დირექტორის საფტარ ჯაფაროვის (00TVLTN. CO2395742) სახით, გადასცემს სს „თელასს“, (ს.კ № 202052580) წარმოდგენილს გენერალური დირექტორის სერგეი კობცევის (პ.ნ 75 6925332; პირადი N01591002308) სახით, რომელიც ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებულია როგორც ,,უზუფრუქტუარი'', უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით იღებს მესაკუთრის საკუთრებაში არსებულ უძრავი ნივთის ნაწილს, მდებარეს ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N105; საკადასტრო კოდი: 01.18.09.006.017, შპს „ირბის“-ის საკუთრებაში არსებულ 6622,00 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 25 კვ.მ ფართს, 49 წლის ვადით, რაც თანდართულ საკადასტრო გეგმაზე მონიშნულია ყვითელი ფერით.

უზუფრუქტის საგანზე მესაკუთრის საკუთრების უფლება დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან N882023513423, მომზადების თარიღი 23/05/2023 წელი.

უზუფრუქტის საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის, უზუფრუქტუარმა მოიწონა მისი მდგომარეობა და ხარისხი.

Договор о безвозмездном узуфрукте

Стороны настоящего договора согласились о нижеследующем:

ООО «Ирбис» (ИНН: 205133461), далее в Договоре - Собственник, в лице директора Сафтара Джафарова (00TVLTN. CO2395742), с одной стороны, передаёт АО «Теласи» (ИНН: 202052580), в лице Генерального директора Сергея Кобцева (ПN№75 6925332; личный №01591002308), далее в Договоре - Узуфруктуарий, который, в форме безвозмездного узуфрукта, принимает часть недвижимой вещи в собственности Собственника, расположенную в городе Тбилиси, ул. Горгасали №105, кадастровый код: 01.18.09.006.017, - площадь в 25 кв.м из наличествующего в собственности ООО «Ирбис» земельного участка в 6622,00 кв.м, на срок в 49 лет, что на прилагаемом кадастровом плане обозначено желтым цветом.

Право собственности Собственника на предмет узуфрукта подтверждается выпиской из Публичного реестра №882023513423, дата подготовки: 23/05/2023 года.

Качество предмета узуфрукта согласовано между сторонами, Узуфруктуарий одобрил его состояние и качество.

Дата 28.11.2023 16:22 | Имя и фамилия переводчика: Давид Курулишвили | Проверил: Начальник отдела Тамар Маруашвили

უზუფრუქტის საგანი უზუფრუქტუარის მიერ გამოყენებულ იქნება მხოლოდ ელ. ენერგიის ტრანსფორმატორის განსათავსებლად.

მიწის მესაკუთრე თანახმაა საჭიროების შემთხვევაში ქ. თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებთან ენერგოობიექტის განთავსებაზე თანხმობის მოპოვება დაევალოს უზუფრუქტუარს. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული თანხმობის გარეშე მოხდება ენერგოობიექტის განთავსება უზუფრუქტუარი თავად არის პასუხისმგებელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის/მოსარგებლის ან/და მესამე პირების მიმართ მიყენებულ ნებისმიერი სახის ზიანზე/ზარალზე/ჯარიმაზე/გაწეულ ხარჯებზე.

მესაკუთრე ვალდებულია არ შეუზღუდოს უზუფრუქტუარს უზუფრუქტის საგანთან წვდომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ენერგოობიექტის გამართული ფუნქციონირება.

მესაკუთრემ, უზუფრუქტუარის მოთხოვნის შემთხვევაში გონივრულ ვადაში უნდა გასცეს თანხმობა უზუფრუქტის საგანზე არსებულ ენერგობიექტზე მომხმარებლების დაერთების თაობაზე.

ანტიკორუფციული დათქმა:

შპს „ირბისი“-სათვის ცნობილია იმის შესახებ, რომ სს „თელასი“ აწარმოებს ანტიკორუფციულ პოლიტიკას და ავითარებს კულტურას, რომელიც აღკვეთს კორუფციულ გამოვლინებებს.

წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას

Предмет узуфрукта будет использоваться Узуфруктуарием исключительно для размещения трансформатора эл. энергии.

В случае необходимости, Собственник земли согласен, чтобы получение согласия от соответствующих Служб Мэрии г. Тбилиси на установку энергообъекта было поручено Узуфруктуарию. В случае если размещение энергообъекта будет произведено без указанного согласия, ответственность перед Собственником / пользователем земельного участка и/или третьими лицами за любого рода ущерб / убытки / штраф / понесенные расходы несет Узуфруктуарий.

Собственник обязан не ограничивать доступ Узуфруктуария к предмету узуфрукта для осуществления исправного функционирования энергообъекта.

Собственник, в случае требования Узуфруктуария, обязан в разумный срок выдать согласие на присоединение потребителей к наличествующему на предмете узуфрукта энергообъекту.

Антикоррупционная оговорка:

ООО «Ирбис» известно о том, что АО «Теласи» ведет антикоррупционную политику и развивает культуру, пресекающую коррупционные проявления.

При выполнении взятых по настоящему Договору обязательств, стороны, их

Дата
28.11.2023 16:22

Имя и фамилия переводчика:
Давид Курулишвили

Проверил:
Начальник отдела Тамар Маруашвили

Джафаров Сафтар

მხარეები, მათი აფილირებული პირები, მუშაკები ან შუამავლები არ იხდიან, არ სთავაზობენ გადახდას და არ აძლევენ რაიმე სახის ფულად სახსრებს ან ფასეულობების გადახდის ნებას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნებისმიერ პირებს, გავლენის მოსახდენად ამ პირების ქმედებებზე ან გადაწყვეტილებებზე რაიმე სახის არამართლზომიერი უპირატესობის მიღების მიზნით ან სხვა არამართლზომიერი მიზნით.

аффилированные лица, работники или посредники не платят, не предлагают заплатить и не разрешают выплату каких-либо денежных средств или ценностей, прямо или косвенно, каким-либо лицам, для оказания влияния на действия или решения данных лиц в целях получения каких-либо неправомерных преимуществ, или в иных неправомерных целях.

წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას მხარეები, მათი აფილირებული პირები, მუშაკები ან შუამავლები არ ახორციელებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის გამოყენებული კანონმდებლობით კვალიფიცირებულია, როგორც ქრთამის მიცემა/აღება, კომერციული მოსყიდვა, ასევე ქმედებებს, რომლებიც არღვევს გამოყენებული კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების მოთხოვნებს დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების), კორუფციის წინააღმდეგობის შესახებ.

При выполнении взятых по настоящему Договору обязательств, стороны, их аффилированные лица, работники или посредники не осуществляют действий, квалифицируемых законодательством, применимым в целях настоящего Договора, как дача/получение взятки, коммерческий подкуп, а также действий, нарушающих требования применимого законодательства и международных актов о противодействии легализации (отмыванию) полученных преступным путем доходов, коррупции.

იმ შემთხვევაში, თუკი მხარეს უჩნდება ეჭვი, რომ კონტრაგენტი მხარის და (ან) მისი წარმომადგენლის, და (ან) მუშაკის და (ან) აფილირებული პირის მხრიდან მოხდა ან შეიძლება მოხდეს წინამდებარე პუნქტის რომელიმე დებულების დარღვევა, შესაბამისი მხარე ვალდებულებას იღებს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობითი ფორმით და შეტყობინების ასლი

В случае возникновения у стороны подозрений, что стороной-контрагентом и (или) его представителем, и (или) работником, и (или) его аффилированным лицом было или может быть осуществлено нарушение каких-либо положений настоящего пункта, соответствующая сторона обязуется незамедлительно уведомить об этом другую сторону в письменной форме, и копию уведомления

Дата
28.11.2023 16:22

Имя и фамилия переводчика:
Давид Курулишвили

Проверил:
Начальник отдела Тамар Маруашвили

გაგზავნოს ამ მხარის ცხელ ხაზზე (კონტრაგენტი: _____, თელასი: 2779999).

მხარეს, რომელმაც გაგზავნა წერილობითი შეტყობინება, უფლება აქვს, შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ვიდრე არ მიიღებს დასტურს მეორე მხარისგან, რომ დარღვევა არ მომხდარა ან არ მოხდება. მხარემ, რომელმაც მიიღო აღნიშნული შეტყობინება, ეს დასტური უნდა გაუგზავნოს ამ შეტყობინების გამომგზავნ მხარეს, ზემოაღნიშნული წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღიდან შვიდი სამუშაო დღის განმავლობაში.

წერილობით შეტყობინებაში მხარე უნდა დაეყრდნოს ფაქტებს ან წარმოადგინოს მასალები, რომლებიც სარწმუნოდ ადასტურებს ან საფუძველს იძლევა ვარაუდისა, რომ მოხდა ან შეიძლება მოხდეს წინამდებარე პუნქტის რომელიმე დებულების დარღვევა კონტრაგენტი მხარის, მისი აფილირებული პირების, მუშაკების ან შუამავლების მხრიდან, რაც გამოიხატება ქმედებებში, რომლებიც გამოყენებული კანონმდებლობით კვალიფიცირებულია, როგორც ქრთამის მიცემა ან აღება, კომერციული მოსყიდვა, ასევე ქმედებები, რომლებიც არღვევს გამოყენებული კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების მოთხოვნებს დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების), კორუფციის წინააღმდეგობის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუკი ერთი მხარე დაარღვევს ვალდებულებას, თავი შეიკავოს

отправить на горячую линию данной стороны (Собственник: _____, Теласи: 2779999).

Сторона, направившая письменное уведомление, вправе приостановить выполнение обязательств по настоящему Договору до получения подтверждения от другой стороны, что нарушения не происходило или не произойдет. Сторона, получившее указанное уведомление, должна направить данное подтверждение направившей данное уведомление стороне, в срок семи рабочих дней с даты получения вышеуказанного письменного уведомления.

В письменном уведомлении Сторона обязана опираться на факты или представить материалы, достоверно подтверждающие или дающие основание предполагать, что произошло или может произойти нарушение какого-либо положения настоящего пункта стороной-контрагентом, его аффилированными лицами, работниками или посредниками, выражающееся в действиях, квалифицируемых применимым законодательством, как дача или получение взятки, коммерческий подкуп, а также в действиях, нарушающих требования применимого законодательства и международных актов о противодействии легализации (отмыванию) полученных преступным путем доходов, коррупции.

В случае нарушения одной стороной обязательства по воздержанию от

Дата
28.11.2023 16:22

Имя и фамилия переводчика:
Давид Курулишвили

Проверил:
Начальник отдела Тамар Маруашвили

აღნიშნული ხელშეკრულებით აკრძალული ქმედებებისაგან და/ან მეორე მხარე არ მიიღებს იმავე პუნქტით დადგენილ ვადაში დასტურს, რომ დარღვევა არ მომხდარა ან არ მოხდება, მეორე მხარე უფლებამოსილია, ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება, მისი მოშლის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. მხარე, რომლის ინიციატივითაც მოხდა წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა წინამდებარე პუნქტის დებულებების შესაბამისად, უფლებამოსილია, მოითხოვოს რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელიც დადგა ამგვარი მოშლის შედეგად, იმ პირობით, თუკი წარმოადგენს ამგვარი რეალური ზარალის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

მხარეთა შორის ურთიერთობა წესრიგდება როგორც წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების, ასევე უზუფრუქტის ხელშეკრულების მომწესრიგებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, კანონით დადგენილი წესით.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ და რუსულ ენებზე, რომელთან ორი გადაეცემათ მხარეებს, ხოლო მესამე წარედგინება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს კანონმდებლობით დადგენილინ წესით რეგისტრაციის მიზნით.

запрещенных указанным Договором действий, и/или неполучения другой стороной в установленный этим же пунктом срок подтверждения, что нарушения не происходило или не произойдет, другая сторона вправе расторгнуть Договор в одностороннем порядке, путем направления письменного уведомления о его расторжении. Сторона, по чьей инициативе был расторгнут настоящий Договор в соответствии с положениями настоящего пункта, вправе потребовать возмещения реального ущерба, наступившего в результате подобного расторжения, при условии представления документов, подтверждающих подобный реальный ущерб.

Отношения между сторонами регулируются как условиями настоящего Договора, так и нормами Гражданского кодекса Грузии, регулирующего договор об узуфрукте. Спор, возникший между сторонами, решается путем обоюдной договоренности. В случае невозможности достижения договоренности, спор рассматривает суд, в установленном законом порядке.

Настоящий Договор составлен в юридически равносильных трех экземплярах на грузинском и русском языках, два из которых передаются сторонам, а третий - ЮЛПП Национальное агентство Публичного реестра, в целях регистрации в установленном законом порядке.

Дата
28.11.2023 16:22

Имя и фамилия переводчика:
Давид Курулишвили

Проверил:
Начальник отдела Тамар Маруашвили

ტექსტებს შორის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს.

ხელშეკრულების პირობები სრულად შეესაბამება და გამოხატავს მხარეთა ნებას, რასაც ვადასტურებთ მხარეთა ხელმოწერით:

В случае обнаружения несоответствия между текстами, предпочтение отдается тексту, составленному на грузинском языке.

Условия Договора полностью соответствуют и выражают волю сторон, что подтверждаем подписями сторон:

მესაკუთრე: შპს „ირბის“

ს.ნ: 205133461

დირექტორი

საფტარ ჯაფაროვი (00TVLTN. CO2395742)

_____

Собственник: ООО «Ирбис»

ИНН: 205133461

Директор

Сафтар Джафаров (00TVLTN. CO2395742)

Джафаров Сафтар

_____

უზუფრუქტუარი: სს „თელასი“

ს/კ: 202052580

გენერალური დირექტორი

სერგეი კობცევი

(პ.ნ 75 6925332; პირადი N01591002308)

_____

Узуфруктуарий: АО «Теласи»

ИНН: 202052580

Генеральный директор

Сергей Кобцев

(ПN№75 6925332; личный №01591002308)

_____

Дата
28.11.2023 16:22

Имя и фамилия переводчика:
Давид Курулишвили

Проверил:
Начальник отдела Тамар Маруашвили

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი:	**01.18.09.006.017**	ნაკვეთის დანიშნულება:	**არასასოფლო სამეურნეო**
განცხადების ნომერი:	**882022568568**	ფართობი:	**6622 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**
შემზადების თარიღი:	**08/08/2022**		



პირობითი აღნიშვნები:

ნაკვეთის საზღვარი | მშენებარე ნაგებობა | აშენებული ნაგებობა | ქარსაფარი ზოლი

ხაზობრივი ნაგებობა | ტყის ფონდი | ვალდებულება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N231680095
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	07.12.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ლუიზა ცხადაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქუჩა #23
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2943164 599535661
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	28544854833223

დღეს, ორიათას ოცდასამი წლის შვიდ დეკემბერს, მე, საქართველოს ნოტარიუსს ლუიზა ცხადაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქ. #23, პირველი სართული, მომმართა ბატონმა ზაზა აზარაშვილმა (დაბადების თარიღი:16.10.1976, დაბადების ადგილი: საქართველო, თბილისი, მისამართი: თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 16 ბ. 49, პირადი ნომერი: #01002026605) რომელმაც განაცხადა, რომ სს ''თელასი''-ს გენერალურ დირექტორს სერგეი კობცევს არ შეუძლია სანოტარო ბიუროში გამოცხადება და მას როგორც სს ''თელასი''-ს გენერალურ დირექტორს საზოგადოების სახელით სურს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის ნამდვილობის დადასტურება შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვანის ქ. #3. მე ვეახელი სერგეი კობცევს აღნიშნულ მისამართზე და დავრწმუნდი, რომ მას ნამდვილად სურდა წინამდებარე ხელშეკრულებაზე თავისი ხელისმოწერის სანოტარო წესით დადასტურება. მას განემარტა წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი. სერგეი კობცევმა ყოველივე ზემოთქმული განაცხადა რუსულ ენაზე. განაცხადა ასევე, რომ რომ ის არ ფლობს ხელშეკრულების შედგენისას გამოყენებულ სახელმწიფო ენას და დამწერლობას, მისი სურვილით ქართული ენიდან რუსულ ენაზე ხელშეკრულების ტექსტის გადასათარგმნად მოწვეული იქნა მის მიერ შერჩეული თარჯიმანი დავით ყურულიშვილი. მე დავადგინე თარჯიმნის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად დავით ყურულიშვილმა (დაბ. 02.12.1974 წ. პირადი #01002004546, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, V მიკრო/რაიონი, კორპუსი 9ა, ბინა 51) მიიღო მონაწილეობა ხელშეკრულების ტექსტის გადათარგმნაში; დავით ყურულიშვილმა განაცხადა, რომ ფლობს რუსულ ენას და ჯეროვნად უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულების თარგმანს. მან თანხმობა განაცხადა თარჯიმნად ყოფნაზე და გამორიცხა თარჯიმნად ყოფნის არარსებობის დამადასტურებელი გარემოება, წარმოადგინა თავის სახელზე გაცემული სერთიფიკატი 005 #0048 გაცემული სასწავლო ცენტრი ''რუსული სახლი'' მიერ გაცემის თარიღი: 27.07.2020) და განაცხადა რომ იძლევა ზუსტი თარგმანის გარანტიას. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს სერგეი კობცევს (დაბადების თარიღი: 17 დეკემბერი 1972 წელი, დაბადების ადგილი: რუსეთი, პასპორტის ნომერი 75 6925332,პასპორტი გაცემულია შსს 50001 მიერ 12.02.2018 წ, პირადი #01591002308) დავუდასტურე ხელისმოწერის სინამდვილე მათ მიერ შედგენილ და წარმოდგენილ ხელშეკრულებაზე. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მათ განვუმარტე წარმოდგენილ ხელშეკრულებაზე თავიანთი ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მათ განაცხადეს, რომ ხელშეკრულებაზე მათი ხელისმოწერა ზუსტად გამოხატავს მათ ნებას. შემდეგ, მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი ხელშეკრულებაზე, რომელიც შესრულებულია ქართულ-რუსულ ვარიანტად და წარმოდგენილი თითო ექვს /06/ გვერდზე, სერგეი კობცევმა და დავით ყურულიშვილმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულების ყველა გვერდზე. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა შესრულებულია და დოკუმენტი გაცემულია სამ /03/ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

სს "თელასი''-ს ეკისრება სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდა: გადასახდელია სულ ას ოთხმოცდაოთხი ლარი 00 თეთრი. /184.00/, საფუძველი: „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილება, იმავე დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის N272 დადგენილება, 31.3 მუხლისა თითოეული

ხელმოწერისათვის ოთხი /4.00/ ლარი და 00 თეთრი, რაც ჯამში შეადგენს ას ორმოცდაოთხ ლარს 00 თეთრს. /144.00/, შენობის გარეთ შესრულებული სანოტარო მოქმედებისათვის ოცდათხუთმეტი ლარი 00 თეთრი /35.00/ და 39.1 მუხლის თანახმად ხუთი ლარი 00 თეთრი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური.
მე ნოტარიუსი, ლუიზა ცხადაძე, არ ვადასტურებ წარმოდგენილ ხელშეკრულებაში მოტანილი ფაქტის სისწორეს, არამედ ვადასტურებ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ნამდვილად სს ''თელასი''-ს გენერალურ დირექტორს სერგეი კობცევს და თარჯიმანს დავით ყურულიშვილს ეკუთვნით.
ნოტარიუსი: /ლუიზა ცხადაძე/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N231683768
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	07.12.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ლუიზა ცხადაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქუჩა #23**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2943164 599535661
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	80355059727923

დღეს, ორიათას ოცდასამი წლის შვიდ დეკემბერს, მე, საქართველოს ნოტარიუსი ლუიზა ცხადაძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქ. #23, პირველი სართული, ვადასტურებ აზერბაიჯანის მოქალაქის ბატონ საფტარ ჯაფაროვ (დაბ. თარიღი:28.07.1981, დაბადების ადგილი: აზერბაიჯანი,
მისამართი:აზერბაიჯანი, ქალაქი ბაქო, ჯავადხანის ქუჩა, N 51, საიდენტიფიკაციო 00TVLTN, პასპორტის CO2395742, გაცემული საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, გაცემის თარიღი: 26.03.2019)
ხელმოწერის სინამდვილეს მის მიერ წარმოდგენილ უსასყიდლო უზურუქტის ხელშეკრულებაზე, მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად საფტარ ჯაფაროვ მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მას განვუმარტე წარმოდგენილ ხელშეკრულებაზე თავისი ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მან განაცხადა, რომ ხელშეკრულებაზე მისი ხელისმოწერა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ, მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ხელშეკრულებაზე, რომელიც შესრულებულია ქართულ და რუსულ ენებზე, ხელმოწერა დადასტურდა რუსულ ენაზე შედგენილ ტექსტზე. მოცემულ დოკუმენტზე ხელმოწერა შესრულებულია თითო ექვს /06/ გვერდზე და დოკუმენტი გაცემულია 3 /სამ/ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
სს "თელასი''-ს ეკისრება სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდა: სულ გადასახდელია სამოცდაჩვიდმეტი ლარი 00 თეთრი /77.00/ საფუძველი: „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილება, იმავე დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის N272 დადგენილება, 31.3 მუხლისა თითოეული ხელმოწერისათვის ოთხი /4.00/ ლარი და 00 თეთრი, რაც ჯამში შეადგენს სამოცდათორმეტ ლარი 00 თეთრი /72.00/ და 39.1 მუხლის თანახმად ხუთი ლარი 00 თეთრი, /5.0/ ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური.
მე ნოტარიუსი, ლუიზა ცხადაძე, არ ვადასტურებ წარმოდგენილ ხელშეკრულებაში მოტანილი ფაქტის სისწორეს, არამედ ვადასტურებ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ნამდვილად საფტარ ჯაფაროვ ეკუთვნის.
ნოტარიუსი: ლუიზა ცხადაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

